საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1679 2017 წლის 10 აგვისტო ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 3 845 000 (სამი მილიონ რვაას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ბ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

დ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 270 000 (ორას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ე) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

ვ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 175 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**